„გამრავლების დუელი"

კლასი: 3

თემა: რიცხვების გამრავლება

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

მასალა: ბარათები ციფრებით ან კარტი, რომლიდანაც "ნახატი კარტი" ამოღებულია.

თამაშის ორგანიზების ფორმა: თამაში განკუთვნილია გაკვეთილზე მცირე ჯგუფებში სამუშაოდ, ასევე, ბავშვებისთვისა და მშობლებისთვის.

თამაშის აღწერა: საჭიროა 2-3 მოთამაშე. მშობელი და ბავშვი მონაცვლეობით განსაზღვრავს ამოცანას, რომელიც რიცხვების გამრავლებას უკავშირდება (მაგ., „გამრავლება 7-ზე", „გამრავლება 4-ზე" და ა.შ.). როგორც კი დასახელდება მამრავლი, შესაბამისი კარტი მოთამაშეებს შორის თავსდება. დანარჩენი კარტები პირით ქვემოთ იდება მის გვერდით.

პირველი მოთამაშე იღებს ერთ კარტს დასტიდან და შუაში მოთავსებულ მამრავლზე ამრავლებს. შემდეგ მეორე მოთამაშე იღებს კარტს დასტიდან და ისიც ამრავლებს შერჩეულ მამრავლზე. მოთამაშეებმა ეს ოპერაცია ვერბალურადაც უნდა განახორციელონ. ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე დიდ ნამრავლს მიიღებს, ორივე კარტს იღებს (სამივეს, თუ სამი მოთამაშეა).

მაგალითად, შუაშია 5.

#1 მოთამაშე	**#2 მოთამაშე**
აიღო: 4	აიღო: 7
4×5=20	7×5=35

ამ შემთხვევაში #2 მოთამაშეს უფრო დიდი რიცხვი აქვს, შესაბამისად, ორივე კარტი მას რჩება.

თუ ფრეა (ანუ, თუ ორივე მოთამაშემ ერთი და იგივე ნამრავლი მიიღო), მოთამაშეები კიდევ თითო-თითო კარტს იღებენ და მამრავლზე ამრავლებენ. ვინც ყველაზე დიდ რიცხვს მიიღებს, ოთხივე კარტი მას რჩება.

თამაში გრძელდება მანამ, სანამ დასტაში კარტები არ ამოიწურება, გამარჯვებულად ის გამოცხადდება, ვისაც უფრო მეტი კარტი აქვს.